<u>პროგრამის დასახელება - ვებ ტექნოლოგიები (IV საფეხური)</u>

პროფესიული მასწავლებელი/მასწავლებლები შემდეგი სასწავლო მოდულებისთვის:

1. **ვებ პროგრამირება სერვერის მხარეს (PHP);**
2. **Query, Ajax და XML ტექნოლოგიები**
3. **მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა (My SQL)**
4. **საიტის მართვის სისტემები**

<u>პროგრამის დასახელება - კომპიუტერული ქსელები და სისტემები (IV საფეხური)</u>

პროფესიული მასწავლებელი/მასწავლებლები შემდეგი სასწავლო მოდულებისთვის:

1. **სერვერული ოპერაციული (Windows) სისტემა;**
2. **კომპიუტერული ქსელების უსაფრთხოება(CCNA security);**
3. **მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა (My SQL)**

<u>სამეწარმეო საქმიანობის პროფესიული მასწავლებელი</u>

სამუშაოს აღწერა

- მოამზადოს პროფესიული სტუდენტები დამტკიცებული პროფესიული სტანდარტის და სასწავლო პროგრამების შესაბამისად;
- შეიმუშაოს სასწავლო კურსის სილაბუსი, სასწავლო კურსისათვის აუცილებელი და დამხმარე ლიტერატურის სია;
- სასწავლო კურსის დაწყებისთანავე გააცნოს სტუდენტს საგნის სილაბუსი, რომელშიც ლექციების მიხედვით გაწერილი იქნება შესასწავლი მასალა, ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა, შეფასების სისტემა;
- ჩაატაროს სილაბუსით გათვალისწინებული გამოცდები და სასწავლო კურსის შემაჯამებელი/ფინალური გამოცდები;
- საჭიროების შემთხვევაში, ჩაუტაროს სტუდენტს/სტუდენტებს დამატებითი გამოცდა;
- შეამოწმოს ტესტებისა და გამოცდების შედეგები და შეაფასოს სტუდენტები აღნიშნული შედეგების მიხედვით;
- საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშაოს და განახორციელოს პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალური საკონსულტაციო მუშაობის გეგმა.

დამატებითი მოთხოვნები

"პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

დამატებითი ინფორმაცია

პროფესიული მასწავლებლის შრომის ანაზღაურება განისაზღვრება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ დამტკიცებული მასწავლებლის გეგმიური საათობრივი დატვირთვისა და საგნის საათობრივი ღირებულების შესაბამისად.

---

*დაინტერესებულ კანდიდატებს გთხოვთ, გააკეთოთ განაცხადი საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ოფიციალური ვებ გვერდის საშუალებით **2014** წლის **08** ოქტომბრამდე.*

გამოქვეყნებულია 17.09.2014